

ხელშეკრულება გადახდის პირობებზე	Agreement of Terms of Payment
<p>ერთი მხრივ, _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, შემდგომში ხსენებული, როგორც „მოვაჭრე“ და მეორე მხრივ, _____ (ს.კ.: _____) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____-ის სახით, შემდგომში ხსენებული, როგორც „მომხმარებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</p>	<p>On one hand, _____ presented by its Director ____, mentioned later as “Trader” or “Merchant” and _____ (I..C: _____) presented by its director _____ mentioned later as “Consumer”, on the other hand, we enter into this Agreement, as follows:</p>
<p>1. ტერმინთა განმარტება</p>	<p>1. Definition of Terms</p>
<p>ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p>	<p>For the purposes of this Agreement, the following definitions have the following meanings:</p>
<p>1.1. გასაყიდი ფასი – საქონლის ან მომსახურების ერთეულის ან განსაზღვრული რაოდენობის საბოლოო ფასი, დამატებული ღირებულების გადასახადისა და სხვა გადასახადების ჩათვლით;</p>	<p>1.1. selling price – a final price per unit or per specified quantity of goods or services, including value added tax and other taxes;</p>
<p>1.2. დისტანციური ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალების გამოყენებით, დისტანციური ნასყიდობის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებული სქემის მეშვეობით და არ მოითხოვს მომხმარებლისა და მოვაჭრის ფიზიკურ თანაყოფობას. ამასთანავე, ხელშეკრულება დისტანციურ ხელშეკრულებად არ მიიჩნევა, თუ მომხმარებელი და მოვაჭრე ხელშეკრულების პირობებზე სარეწში შეთანხმდნენ და ხელშეკრულება დისტანციურად მხოლოდ ამის შემდეგ დაიდო;</p>	<p>1.2. distance contract – a contract signed between a trader and a consumer using only one or more distance communication means, under an organised distance sale or service provision scheme, which does not require the physical presence of the consumer and the trader. A contract shall not be deemed a distance contract if a consumer and a trader have negotiated the terms of the contract at business premises and concluded the contract using distance communication means;</p>
<p>1.3. მოვაჭრე – ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომელიც მოქმედებს კომერციული საქმიანობის ფარგლებში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით;</p>	<p>1.3. trader – any natural person, legal person or an association of persons acting within the scope of a commercial practice, as well as any other person acting in the name of or on behalf of a trader;</p>
<p>1.4. მომხმარებელი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას უპირატესად პირადი მოხმარების მიზნით და არა სავაჭრო,</p>	<p>1.4. consumer – any natural person who is offered goods or services, or who purchases or further consumes goods or services exclusively for private purposes and not for performing any commercial practice or industrial activity, crafting or other occupational activities;</p>

სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად;	
1.5. სარეწი – ნებისმიერი უძრავი ობიექტი ან მოძრავი ობიექტი, სადაც მოვაჭრე, ჩვეულებრივ, კომერციულ საქმიანობას ახორციელებს;	1.5. business premises – any movable or immovable facility where a trader carries out its commercial practice on a usual basis;
1.6. სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება – ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მოვაჭრისგან სარეწის გარეთ, მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანაყოფობისას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ექსკურსიის დროს, რომელიც მოვაჭრის მიერ იყო ორგანიზებული საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ხელშეწყობისთვის ან ასეთ შედეგს იწვევს. სანოტარო ბიუროში სანოტარო მოქმედებების შესრულების შედეგად დადებული ხელშეკრულება სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებად არ მიიჩნევა;	1.6. off-premises contract – any contract between a trader and a consumer in a place, which is not the business premises of the trader, and that requires the physical presence of the trader and the consumer; a contract concluded on the business premises of a trader or through any means of distance communication immediately after the consumer was individually offered to conclude a contract in a place, which is not the business premises of the trader, in the physical presence of the trader and the consumer; a contract concluded during an excursion organised by a trader with the aim or effect of promoting and selling goods or services. A contract concluded in a notary bureau as a result of notarial actions shall not be deemed an off-premises contract;
1.7. საქონელი – ნებისმიერი მოძრავი ნივთი, აგრეთვე მასში განთავსებული ან/და ციფრული ფორმით გავრცელებული ქონებრივი სიკეთე;	1.7. goods – any movable thing, as well as any material goods placed therein and/or disseminated in a digital form;
2. ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ	2. Information requirements for the price of goods or services
2.1. მოვაჭრე ვალდებულია უზრუნველყოს საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეულის ფასის მითითება აუცილებელი არ არის, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.	2.1. A trader is obliged to ensure that a selling price and a unit price of the goods or services are indicated clearly. The unit price may not be indicated if it is identical to the selling price.
2.2. ფასის მითითება აუცილებელი არ არის, თუ:	2.2. A price may not be indicated if:
ა) საქონლის მიწოდება მომსახურების ნაწილია;	a) the delivery of the goods is part of the service;
ბ) საქონელი საჯარო აუქციონზე იყიდება;	b) the goods are sold at a public auction;

<p>გ) გასაყიდად წარდგენილია ხელოვნების ნიმუში ან ანტიკვარული ნივთი.</p>	<p>c) a piece of art or an antique item is presented for sale.</p>
<p>2.3. იმ საქონელზე, რომელიც წინასწარ შეფუთული არ არის და მომხმარებლის თვალწინ აიწონება ან აიზომება, საკმარისია მხოლოდ ერთეულის ფასის მითითება.</p>	<p>2.3. The indication of a unit price shall suffice in relation to goods that are not packaged in advance and are weighed or measured in the presence of a consumer.</p>
<p>3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები</p>	<p>3. Additional charges related to a contract</p>
<p>3.1. მოვაჭრეს ეკრძალება, საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებისთვის მომხმარებელს იმაზე მეტი საფასური გადაახდევინოს, ვიდრე თვითონ იხდის.</p>	<p>3.1. A trader may not impose on a consumer the payment of fees for the use of a payment instrument that is higher than the fee paid by the trader.</p>
<p>3.2. თუ მოვაჭრემ საკონტაქტოდ ტელეფონის ნომერი მიუთითა, მან მომხმარებელს ამ ტელეფონის ნომრით მასთან დასაკავშირებლად კომუნიკაციისთვის დადგენილ ტარიფზე მეტი არ უნდა გადაახდევინოს. აღნიშნული პირობა არ გამოიცხადებს სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამწევის უფლებას, ასეთი მომსახურების გაწევისთვის საფასური დააწესოს.</p>	<p>3.2. If a trader has indicated a telephone number for contact, the trader may not require that a consumer pay more than the rate determined for contacting the trader for communication. The said condition shall be without prejudice to the right of telecommunication services providers to charge for such services.</p>
<p>3.3. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებლისგან მიიღო მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულებისთვის დადგენილი ფასის გარდა, დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე. თუ მოვაჭრეს მომხმარებლისგან მკაფიოდ გამოხატული თანხმობა არ მიუღია, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებით გადახდილი თანხის დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ მას დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე უარი არ უთქვამს (ნაგულისხმები პარამეტრები არ უარუყვია).</p>	<p>3.3. The Parties agree that prior signing this contract, a trader has sought the express consent of a consumer to any extra payment in addition to the remuneration agreed upon for the fulfilment of the trader's main contractual obligations. If the trader has not obtained the consumer's express consent the consumer shall be entitled to reimbursement of this payment despite the fact that the trader has not refused (has not denied the implied parameters) to remunerate such additional charges.</p>
<p>4. დისტანციური ხელშეკრულება და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება</p>	<p>4. Distance contract and Off-premises contract</p>
<p>4.1. თუ დისტანციური ხელშეკრულება ელექტრონული საშუალების გამოყენებით იდება, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების შეკვეთისას ერთმნიშვნელოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ შეკვეთის განთავსება მომხმარებლისთვის გადახდის</p>	<p>4.1. If a distance contract is concluded using an electronic means, the trader shall ensure that the consumer, when placing his /her order for goods and services, explicitly acknowledges that the placement of the order entails the obligation of the consumer to pay. If the trader has not complied</p>

<p>ვალდებულებას წარმოშობს. თუ მოვაჭრემ ამ პირობის შესრულება არ უზრუნველყო, მომხმარებელს გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა.</p>	<p>with this provision, the consumer shall not be bound to pay.</p>
<p>4.2. დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს მიაწოდოს საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, გადასახადების ჩათვლით, ხოლო თუ აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე; არსებობის შემთხვევაში – ყველა დამატებითი ხარჯის შესახებ, მიწოდების, გადაზიდვისა და საფოსტო ხარჯების ჩათვლით, ხოლო თუ ასეთი ხარჯების წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია – ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები იყოს გასაწევი. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების ან საქონლის ან მომსახურების გამოწერით მიღების ხელშეკრულების შემთხვევაში ფასი გულისხმობს სრულ ფასს გადახდის თითოეული პერიოდისთვის. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახადი, სრული ფასი უნდა აღნიშნავდეს ყოველთვიურ სრულ გადასახადს. თუ სრული გადასახადის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მიწოდებული უნდა იქნეს მისი გამოთვლის წესი;</p>	<p>4.2. In the case of distance contracts or off-premises contracts, prior to signing contracts, a trader is obliged to provide a consumer with the information about the price of the goods or services, including the taxes, and where the price cannot reasonably be calculated in advance, the manner in which the price is to be calculated; all additional charges, where applicable, including delivery, transportation or postal charges, and where those charges cannot reasonably be calculated in advance, information on the fact that such additional charges may be payable. In the case of a contract of indeterminate duration or a contract containing a subscription for goods and services, the total price shall include the total costs per billing period. Where such contracts are charged at a fixed rate, the total price shall also mean the total monthly costs. Where the total costs cannot be reasonably calculated in advance, the manner in which the price is to be calculated shall be provided;</p>
<p>5. მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები</p>	<p>5. Terms of service cost payment</p>
<p>5.1. გადახდა ხდება მომსახურების მიღებამდე, წინასწარ, შეკვეთის გაფორმებისას.</p>	<p>5.1. Payment is made before receiving the service, in prior, when placing the order.</p>
<p>5.2. გადახდა წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების გზით, მოვაჭრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.</p>	<p>5.2. Payment is made through cashless settlement, to the bank account specified by the merchant.</p>
<p>5.3. გადახდა ამ ხელშეკრულებისა და ამ მუხლის მიზნებისთვის მოიცავს როგორც პროდუქციის ღირებულებას, ისე მთლიანი მომსახურების ხარჯებს.</p>	<p>5.3. Payment for the purposes of this Agreement and this Article shall include both the cost of the Products and the total cost of the Services.</p>
<p>5.4. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საქონელი/პროდუქცია/ნებისმიერი მომსახურება მომხმარებელს</p>	<p>5.4. For the avoidance of doubt, the goods/products/any services will be</p>

გადაეცემა/გაეწევა მხოლოდ გადახდის განხორციელების შემდგომ.	delivered/provided to the customer only after payment has been made.
6. სხვა დებულებები	6. Other provisions
6.1. მომხმარებელი თანხმობას აცხადებს თავისი პერსონალური მონაცემების მოვაჭრის მიერ დამუშავებაზე იმ მოცულობით, რაც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის.	6.1. The consumer declares his/her consent to the processing of his personal data by the trader to the extent necessary for the fulfillment of the obligation provided for in this agreement.
6.2. მომხმარებლის მიერ მოვაჭრისათვის მიწოდებული საბანკო ანგარიშისა თუ საკუთარი სხვა ნებისმიერი პერსონალური მონაცემების სისწორეზე პასუხისგებელია მომხმარებელი.	6.2. The consumer is responsible for the correctness of the bank account or any other personal data provided by the consumer to the trader.
6.3. გადახდის გაუქმება/უკან დაბრუნება, პროდუქციის უკან დაბრუნება და სხვა მოწესრიგებულია მოვაჭრის მიერ შექმნილი სპეციალური პოლიტიკით, რომელიც თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.	6.3. Cancellation/return of payment, return of products and others are regulated by a special policy created by the trader, which in turn is in full compliance with the current legislation of Georgia.
6.4. ის, რაც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, მოწესრიგებულია მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონით.	6.4. Anything not covered by this Agreement is covered by the Law of Georgia On the Protection of Consumer Rights.
6.5. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2 (ორი) ეგზემპლარად.	6.5. The present Agreement is signed in Georgian and English languages in 2 (two) copies.
6.6. ორივე ეგზემპარეზე არსებული შინაარსი არის იდენტური, ყველა ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.	6.6. The content of the copies is identical. All copies are equally valid.
6.7. ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ქართურ ტექსტს.	6.7. In case of differences the English and Georgian texts of this Agreement, the Georgian text of the Agreement will prevail.
7. მხარეთა ხელმოწერები	7. The Signitures of the Parties
7.1. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ გაეცნენ ხელშეკრულების შინაარსს, არ აქვთ პრეტენზია არც ერთი მუხლის შინაარსთან მიმართებით და მზად არიან თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად.	7.1. By signing this agreement, the parties confirm that they have read the content of the agreement, have no complaints regarding the content of any article, and are ready to fulfill their obligations.
7.2. მომხმარებელი _____	7.2. Consumer _____